

გიორგი ერისთავის ავტოგრაფ-კრებულება*

მოკლე შინაარსი

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია გიორგი ერისთავის რამდენიმე ავტოგრაფ-კრებულები. ხელნაწერებმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე თვალსაზრისით: ისინი საფუძვლად დაედო გიორგი ერისთავის გამოცემებს; კრებულებში არის ლექსები, რომლებიც გამოცემებში არ გვხვდება და არც დაბეჭდილა არასოდეს; ამასთანავე, გამოცემებში დაცული ლექსების უმრავლესობის ერთადერთ დედანს სწორედ ეს ხელნაწერები წარმოადგენს. ამიტომ მივიჩნევთ, რომ გიორგი ერისთავის ავტოგრაფ-კრებულები და ცალკეული ხელნაწერები ტექსტოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო წყაროა მკვლევრებისთვის.

Ia Ghadua

AUTHENTIC COLLECTION OF GIORGI ERISTAVI

Abstract

Several authentic collection of Giorgi Eristavi are preserved in the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. The manuscripts gave compelled our attention in respect of several standpoints: they have become the basis for the publication of the collection of Giorgi Eristavi; these collections include poems, which are not found in any other publications, as well as have never been published. At the same time, it is noteworthy that the majority of poems published in this edition represent the only originals, which are preserved in the museum. That is why we believe that separate manuscripts and authentic collections of Giorgi Eristavi represent quite an interesting source for researches from the textual point of view.

საკვანძო სიტყვები: გიორგი ერისთავი, ავტოგრაფ-კრებულები; ტექსტოლოგია, ჟურნალი „ცისკარი“, ლექსები, პოემა, ლიტერატურის მუზეუმი.

Key words: Giorgi Eristavi, Authentic collection, Text linguistics, Magazine “Tsiskari”, Poetry, Poem, Literature Museum.

* სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა და დიגיტალიზაცია" (საგრანტო ხელშეკრულება #AR/109/1-20/14) ფარგლებში.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია გიორგი ერისთავის რამდენიმე ავტოგრაფ-კრებული, რომლებიც საფუძვლად დაედო მწერლის გამოცემებს – *სსლმ 18012-ბ, სსლმ 18013-ბ, სსლმ 18015-ბ, სსლმ 18016-ბ, სსლმ 18017-ბ, სსლმ 18028-ბ, სსლმ 18032-ბ.*

ყველაზე ვრცელი, 174-გვერდიანია ავტოგრაფ-კრებული საინვენტარო ნომრით **სსლმ 18032-ბ**. ტექსტი შესრულებულია შავი, ყავისფერი და წითელი მელნით; ზოგი ლექსის სათაური თარგმნილია რუსულად და მიწერილია ქართული სათაურის გასწვრივ; რამდენიმე ლექსი ჩასწორებულია ავტორის მიერ.

კრებულის შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია. გიორგი ერისთავს ამ კრებულის შედგენა, სავარაუდოდ, XIX სუკუნის პირველ მეოთხედში დაუწყო, მაგრამ შემდეგ მასში შეუტანია 1848-1849 წლებში დაწერილი ლექსებიც. უფრო გვიანდელი ლექსები კრებულში არ გვხვდება.

კრებული შეიცავს არა მხოლოდ გიორგი ერისთავის, არამედ ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა ლექსებს, რომლებიც გიორგი ერისთავის ხელითაა ჩაწერილი. კრებულს კიდევ ერთი დანიშნულება ჰქონია – 11რ-ზე დასაწყისში მინაწერია შავი ფანქრით: **„ქართული ლექსი თხზულება. ცისკარი“**; 11რ-21რ-ზე გ. ერისთავის, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის ზოგი ლექსი შავი ფანქრითაა მონიშნული. როგორც ჩანს, ავტოგრაფ-კრებული გამოყენებული იყო „ცისკრის“ გამოცემისთვის. მართლაც, ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის გამოცემებში გვხვდება ეს მონიშნული ლექსები იმავე ფორმით, როგორცადაც ხელნაწერშია.

კრებული საინტერესოა იმითაც, რომ მასში გვხვდება ექსპრომტად შესრულებული ლექსები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ავტორს გადახაზული აქვს და შესაბამისად, ის არცერთ ბეჭდურ გამოცემაში არ გვხვდება. მაგალითად, 44v-ზე, ქვედა მხარეს გადახაზულია ლექსი **„კალამბური. ერთ ქალს სტოლზედ ექსპრომტად“**: **„ხელმწიფვე ვგონებ ბოზბაში იყო ცოტა მარილიანი/ მაშ ნება მომეცით თქვენს სტაქანს ჩავასხა ღვინო წყლიანი/ წყურვილის მოსაკლავად ეს მიირთვიო“**. მესამე სტრიქონის წინ გადახაზულია: **„მაშ ჩემის ხელით მიირთვიო“**, **„განსაგრილებლად ეს“**.

22v-ზე ჩართულია ნაწყვეტი არაკიდან “Волк и ягненок”, რუსულ ენაზე, რომელსაც თავსა და ბოლოს ერთნაირი მინაწერი აქვს: “Я писалъ. Николай Карангозовъ”.

საინტერესოა, კრებულში წარმოდგენილი გიორგი ერისთავის „შეშლილის“ მონაკვეთები. ის წარმოადგენს პოემის **I რედაქციის გადამუშავებულ ვარიანტს, რომელიც სხვა ხელნაწერებსა და გამოცემებში უკვე გვხვდება, როგორც პოემის მეორე ნაწილი.** ხელნაწერის ბოლო გვერდებზე კი ფანქრითა ჩაწერილი ბეგლარის მონოლოგი „შეშლილიდან“, სამუშაო ვარიანტი, გადახაზული და ჩასწორებული სტრიქონებით. ფიქრობთ, პოემის ტექსტოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით ეს ხელნაწერი საკმაოდ საინტერესო წყაროა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს კრებული ყველაზე ვრცელია, მასში 73 ლექსია მოთავსებული და საინტერესო კვლევის საფუძველს იძლევა ვარიანტული თუ რედაქციული სხვაობების თვალსაზრისით. მაგალითად, 6v-ზე ლექსს „უფალა ბიშპინგს“ გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში სათაურიც და დაბოლოებაც განსხვავებული აქვს: „როზალიას – ბიშპინგის ქალს“; დასასრული: „მით მსუბუქ მექმნა ტვირთი გულისა / და იქმნა ჭმუნვა განქარვებული“; 12v-ზე ლექსი „ქონს“ გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში უსათაურია.

16r-ზე აღექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ოცნება. პუშკინისგან“ ასეთივე სათაურითაა დაბეჭდილი ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წ. №2), ხოლო აღ. ჭავჭავაძის თხზულებათა 1881 წლის გამოცემაში მას სხვა სათაური აქვს – „სიზმარი“; 16r-ზე გრიგოლ ორბელიანის ლექსი „..... მ.....“ ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წ. №2) ასეა დასათაურებული: *M.....* გამოცემებში კი განსხვავებული სათაური აქვს: „ნ....ს“.

17v-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „გარემისა საფლაფნი ყირიმში“ წყაროებში ვარიანტულ სხვაობას იძლევა. ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წ. №3) ასეა დასათაურებული: „გარემისა საფლაფნი პოლშურით“, გამოცემებში კი განსხვავებული სათაური აქვს: „არამხანის საფლაფნი, ბახჩასარაიაში, ყირიმში (მიცკევიჩით)“; 18v-ზე ლექსი „მიბაძვა პუშკინით“ გამოცემებში დასათაურებულია: „მარი (პუშკინით)“. პოემის „ზარე და ყანი-მათ“ (31r) დასაწყისი გამოცემებში განსხვავებულია. ხელნაწ-

ერის ტექსტს გამოცემებში 1 ტაეპი უძღვის: „ქსანი მკვირცხლო-
ბით მომდინარე, გამყოფი მათათა..... ხან ჰგლეჯავს ხეთა და ვე-
ლებთა, იწყებს განებას“.

გიორგი ერისთავის ლექსი Къ Нл... (48v-49r) გამოცემებში
დასათაურებულია ამგვარად: „კ. ბაბ. ორბელ“ (პუშკინის
გვარად)“. 49r-ზე გიორგი ერისთავის 10-სტრიქონიანი ლექსის
„გაქსუებული (მიბაძვა მიცკევიჩისა)“ მე-8 და მე-9 სტრიქონები
შავი ფანქრით ჩასწორებულია ისე, როგორც შემდგომში
დაბეჭდილია გამოცემებში.

58v-59v-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „К. ნ. ივანე“ სათაურად
აწერია: „К Скобликову“. „სკობლიკოვს“. შემდეგ ავტორს გადა-
უხაზავს ეს სათაური და გვერდით მიუწერია: „К. ნ. ივანე“. ლექსი
პირველად დაიბეჭდა გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884
წლის გამოცემაში სათაურით „ჩემს ძმას ივანეს“. ამავე სათაუ-
რით გვხვდება სხვა გამოცემებშიც (1936წ. 1966წ.). 61r-62r-ზე
გიორგი ერისთავის ლექსი „სატირა. ბ. ო...ზედ“ გამოცემებში
დასათაურებულია სხვაგვარად – „ფიქრი ყმაწვილი ქალისა (სა-
ტირა)“. 62r-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „თოვლი“ დასასრულს
ყავისფერი ფანქრით გადაშლილი აქვს თარიღი: „15-ს დეკენ-
ბერს. ქ. რიგას. პოლშაში“. ყველა გამოცემაში ლექსს სხვა
თარიღი აქვს მითითებული: „15-ს სექტემბერს. ქ. ტვილისს“.

შედარებით მცირე მოცულობისაა ავტოგრაფული კრებული
საინვენტარო ნომრით **სსღმ 18012-ხ**. 36-გვერდიან კრებულში
გიორგი ერისთავს თავისი 24 ლექსი ჩაუწერია, რომლებიც ხელ-
მოწერილია ინიციალებით: „თ. გ. ერ...“ „თ. გ. ერის...“ „თ. გ. ე...“
„ბ. ერ...“, „ბ. ე...“

საინტერესოა კრებულის სტრუქტურა – მიძღვნილი და
თარგმნილი ლექსები კრებულში ერთადაა თავმოყრილი და
დაყოფილი ორ განყოფილებად: 1. „უსტარნი“ (7r-12r) – იწყება
1833 წელს პატიმრობის უამს სვიმონ მაჩაბლისადმი მიძღვნილი
ლექსით (7r-v), რომელსაც მოსდევს 1838 წელს დაწერილი
ლექსი, ასევე, სვიმონ მაჩაბლისადმი მიძღვნილი (8r). ხელნაწ-
ერში ლექსის სათაურია „მასვე“ (*სხვა ხელნაწერებსა და გამო-
ცემებში ამავე ლექსის სათაურია „სვიმონ მაჩაბელს“*); როზა-
ლია ბიშპინგისადმი, ანტონ მიცკევიჩისადმი... 2. „თარგმანნი და
მიბაძვანი“ (12v-16v).

„ყაბახი“ გიორგი ერისთავის ლექსის სათაურად მხოლოდ ამ ხელნაწერში გვხვდება. სხვა ავტოგრაფულ ხელნაწერებსა და გამოცემებში მისი სათაურია „ყაბახისადმი“.

ამ კრებულის ღირებულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გიორგი ერისთავის უსათაურო ლექსი („სატრფოლო, ჩვენცა ტრფობაი ერთხელ გვიგაზაფხულებდა...“) **შემონახულია მხოლოდ ამ ავტოგრაფ-კრებულში**. პირველად დაიბეჭდა გიორგი ერისთავის 1867 წლის გამოცემის მეორე ნაწილში. ყველა გამოცემაში (გარდა 1966 წლის გამოცემისა), ტექსტი განსხვავებულ წაითხვას იძლევა: „სატრფოლო, ჩვენცა სიყვარული ერთხელა გვიზაფხულებდა, / გვატრფობდა, გვაფუფუნებდა, რა ერთგან დაგვიგულებდა...“. მხოლოდ გიორგი ერისთავის თხზულებათა 1966 წლის გამოცემაში იკითხება ის ვარიანტი, რომელიც ამ ხელნაწერშია მოთავსებული.

გიორგი ერისთავის ლექსს „მტკვრისადმი“ ამ ხელნაწერში მე-10 სტრიქონის შემდეგ აკლია 1 ტაეპი: „მიყვარდა შენის კიდითგან მხერა..... ხან მრისხანება და ხან ჩურჩული“, რომელიც გვხვდება როგორც ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წ. იანვარი), ისე ყველა გამოცემაში.

3v-ზე გიორგი ერისთავი ლექსი “...” ამავე სათაურით პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის თებერვლის ნომერში. თუმცა, რამდენიმე ავტოგრაფულ ხელნაწერსა და ყველა გამოცემაში მისი სახელწოდებაა „თეოდოსია მირეცკას“.

საინტერესოა აღნიშნულ კრებულში დაცული გიორგი ერისთავის ლექსი „მაზურკა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის მარტის ნომერში სახელწოდებით „სიმღერა მაზურკის ხმა“. ამავე სათაურით გვხვდება ის გიორგი ერისთავის სხვა ავტოგრაფულ კრებულში - სსლმ 18032-ხ (49v). ჩვენი მოვიძიეთ ეს ლექსი გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში (1867, 1884, 1937, 1966) და აღმოჩნდა, რომ ეს ლექსი დაბეჭდილი არ არის.

13r-v-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „ბაღჩასარაია. მიცკევიჩის სონეტი“ ამ ხელნაწერში მითითებული თარიღი და დაწერის ადგილი „1842-ს იანვრის 5-ს. კორინთას“ სადაგოა იმდენად, რამდენადაც ის განხვავდება სხვა ავტოგრაფულ ხელნაწერსა (სსლმ 18015-ხ) და გამოცემებში მითითებულ თარიღთან: 10 მაისი, 1838 წელი. ქ. ვოლკოვისკი.

14r-v-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „მოგონება. ვიკტორ ჰუგოსგან“ განსხვავებული სათაურით – „ერთის მინუტის სიჭაბუკე“ გვხვდება როგორც ავტოგრაფულ ხელნაწერებში (სსღმ 18032-ბ, სსღმ 18015-ბ), ასევე ნაბეჭდ პირველწარმოში – ჟურნალი „ცისკარი“, №1, 1852 წ. და გიორგი ერისთავის თხუთლებათა გამოცემებში. მხოლოდ ეს ხელნაწერი იძლევა განსხვავებულ დასათაურებას.

15v-16r-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „მიბაძვა მიცკევიჩისა“ სხვა ხელნაწერებსა და გამოცემებში განსხვავებული სათაურითაა წარმოდგენილი: „გაქსუებული“.

ავტოგრაფ-კრებული საინვენტარო ნომრით **სსღმ 18015-ბ** საინტერესოა ფორმითაც და შინაარსითაც. ეს არის ალბომი შავი ფერის, სქელი დეკორატიული ყდითა და თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი 59 ფურცლით. კრებული გადაწერილია გიორგი ერისთავის მიერ. განსხვავებული კალიგრაფიით შესრულებულია მხოლოდ ერთი ლექსი – 56v-ზე გიორგი ერისთავის „კარებთან“.

ლექსები ხელმოწერილია ინიციალებით: „თ. გ. ე...“ „თ. გ. ერისთავი“ „თ. გ. ერ...“ „გ. ერ...“

12r-v-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „სატირა. ფიქრი ყმაწვილი ქალისა“ ახლავს გიორგი ერისთავისვე მინაწერი: *„გავიდა სამი წელი. ერთხელ კახეთს მივედი, რაღაც ჩემი საქმისთვის, აკი იმ ქალსა შევხუდი, საყდრიდგან მოვიდოდა. იყო ჩადრწამოსხმული, სხუა ქალიც გვერდ მოსდევდა უმარილ პირწასმული. გულმა ვერ მომისვენა, უკან მივეყე სახლამდის, მანამ სულ არ გავსინჯე, არ წამოველ მანამდის გოსტინა დავინახე იყო გაუღესელი ფანჯარას ფარდის წილად ევარა სამოსელი, ჩვენი გაზდილი ქალი დაჯდა ტახტზედ ქართულად მაგრამ მისევე დაფიქრდა, იწყო მღერა რუსულად. წინ ქმარი მიუძღოდა პატიჟ ქოშებიანი, მაღალი ვით აქლემი ჩემებრ დიდ ცხვირიანი. ტფილისს 18 მაისს 1839 წელი“ (12v).*

51r-54r-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „თანამემგზავრი. მიბაძვა პავლოვასი“ რამდენიმე სტრიქონი გადახაზულია, 53r-ს ქვედა არშიაზე, სქოლიოში მინაწერი: „ეს სტრიქონი ლერმონტოვის ლექსიდან არის“.

ამ კრებულის ლექსებიც იძლევა ვარიანტულ სხვაობებს. მაგალითად, გიორგი ერისთავის ლექსს „მტკვრისადმი“ ამ ხელნაწერში, ისევე როგორც ავტოგრაფულ კრებულში 18012-ბ,

მე-10 სტრიქონის შემდეგ აკლია 1 ტაეპი: „მიყვარდა შენის კიდითგან მზერა..... ხან მრისხანება და ხან ჩურჩული“, რომელიც გვხვდება როგორც ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წ. იანვარი), ისე ყველა გამოცემაში. ასევე, მხოლოდ ამ ხელნაწერში გვხვდება მე-8 სტრიქონში („მოაჯირითა და ანუ ფანჯრით“) სიტყვა „**ფანჯარა**“. ყველა სხვა ხელნაწერსა და პირველწყაროში, მათ შორის ჟურნალ „ცისკარის“ 1852 წლის იანვრის ნომერში, წერია „**სარკმელი**“.

4რ-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „სატირა (კრასნი სარაფანის ხმაზედ). დედა და ქალი“ თარიღად მითითებული აქვს 3 ივლისი, როდესაც იგივე ლექსი სხვა ავტოგრაფულ კრებულში (სსსმ 18032-ხ) 10 ივლისითაა დათარიღებული.

5რ-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „არამხანის საფლავნი ყირიმში, ბაღჩასარაიაში. მიცკევეჩისა (გადათარგმნილი პოლშუერთით)“ დაწერის ადგილად და თარიღად მითითებული აქვს ვოლკოვსკი, 3 აგვისტო. ორი ავტოგრაფული კრებულის – სსსმ 18032-ხ, სსსმ 18012 – მიხედვით კი დაწერის ადგილად მითითებულია ტფილისი, 30 ოქტომბერი. ეს უკანასკნელია მითითებული გამოცემებში.

22რ-ზე გიორგი ერისთავის უსათაურო ლექსის („ერთი კაცი წვა სნეული...“) ავტოგრაფი მხოლოდ ამ ხელნაწერთაა შემორჩენილი.

50v-51r-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „И скучно и грустно! ლერმონტოვისა“ **ავტოგრაფი მხოლოდ ამ ხელნაწერთაა შემორჩენილი.**

საინტერესოა მცირე მოცულობის ხელნაწერი, რომელიც გიორგი ერისთავის 10 ლექსს შეიცავს (**საინვენტარო ნომერი: სსსმ. 18013-ხ**). ფურცლები თეთრი ძაფითაა აკინძული რვეულად და გარეკანზე გიორგი ერისთავის მინაწერია: „სხუადა-სხუა ლექსთ თხზულება 1853 წ.“

ხელნაწერი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შეიცავს 1853-1854 წლებში დაწერილ ლექსებს და მათი უძრავლესობის **ერთადერთ დედანს სწორედ ეს ხელნაწერი წარმოადგენს** („გულისადმი“, „არაკი“, „ბედისადმი“, „ახალ წელიწადს“, „ერთი კაცი წვა სნეულ...“ „სიმღერა“, „ერთს ქალს“, „ო, ნუ კიცხავთ“).

ტექსტი ჩასწორებულია ყავისფერი მელნითა და შავი ფანქრით. 6რ-ზე ლექსის „ქალს, ვიკტორ ღიულოსი ფრანციუ-

ლიდგან“ მეთე სტრიქონის გასწვრივ, მარცხენა არშიაზე ყავისფერი მელნით გიორგი ერისთავის ხაზგასმული მინაწერი: „დამატებულია ჩემგან“.

4r-5v-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „კავკაზი და უცნობი“ – დედანი ეს ხელნაწერია. 1936 წლის გამოცემაში ლექსი დამახინჯებული სათაურითაა დაბეჭდილი: „კავკაზი და უხანები“.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია გიორგი ერისთავის კომედიათა ავტოგრაფებიც. მათ შორის აღსანიშნავია 24-გვერდიანი ხელნაწერი საინვენტარო ნომრით **სსღმ 18017-ხ**, რომელიც გადაწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებული გიორგი ერისთავის შვილის, დავითის, მიერ. მასში მხოლოდ ერთი თხზულებაა – ხუთმოქმდებიანი კომედია „წარსული დროის სურათები“.

ხელნაწერის პირველ გვერდზე ყავისფერი მელნით ფართოდ მიწერილია სათაური „თევზის კანტორა“. სათაურის ქვევით შემოკლებულად ჩამოწერილია გიორგი ერისთავის ნაწარმოებთა სათაურები: „1. გაყრა. 2. ტოჩკა... 3. უჩინმა... 4. თილის. ხანი... 5. ძუნწი. 6. ყვარ. 7. თილისმ... 8. თევზის კა. 9. მოგზა“.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ხელნაწერში დაცული კომედიის სათაური: „თევზის კანტორა“. ეს გახლავთ სამუშაო ვარიანტში დაცული სახელწოდება, რადგან გიორგი ერისთავმა შემდეგ შეუცვალა კომედიას სახელწოდება და იგი სხვა სათაურით გვხვდება ყველა გამოცემაში, გარდა ერთისა. როგორც ჩანს, დავით ერისთავის გადაწერილი ეს ტექსტი დაედო საფუძვლად გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემას, რადგან მხოლოდ მასშია კომედია დასათაურებული როგორც „თევზის კანტორა“. თავად დავით ერისთავს, ჩვენი ვარაუდით, ტექსტი გადმოწერილი უნდა ჰქონდეს გიორგი ერისთავის სამუშაო ვარიანტიდან, რომელიც ასევე ლიტერატურის მუზეუმშია დაცული (**სსღმ 18016-ხ**).

გარდა ლექსებისა და კომედიებისა, გიორგი ერისთავი არის ავტორი მოგზაურობის ჟანრის თხზულებისა, რომლის ავტოგრაფი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში საინვენტარო ნომრით **სსღმ 18028-ხ**. ტექსტის სათაურია: „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდან“. ხელნაწერი შესრულებულია ყავისფერი მელნით, ჩასწორებული ყავისფერი მელნითა და შავი ფანქრით. მოგზაურობის აღწერა სრული არ არის, თხრობა წყდება ვენეციაში ჩასვლით, ბოლო წინადადება დაუსრულებელია: „... 13-ს 11 საათზედ საღამოზედ მოვედით ვენეციაში,

ჩამოვსხედით ვაგონებიდგან ლოტკებში ჩავსხედით და ლოტკებით შევედით ქალაქში, აქ ქუჩებში სულ წყალია და ლოტკებით დადიან. 14-ს 10 საათზედ...“: მუხეუმშივეა დაცული გიორგი ერისთავის ნაქონი „მოგზაურის ჩანაწერების წიგნაკი“, რომელშიც ავტორს ჩაუნიშნავს სხვადასხვა მოვლენა. როგორც ჩანს, თავისი მოგზაურობის დღიური გიორგი ერისთავმა სწორედ ამ ჩანაწერების საფუძველზე შექმნა.

დასკვნა. ჩვენ მიმოვიხილეთ ლიტერატურის მუხეუმში დაცული ავტოგრაფ-კრებულები. თუმცა, აღნიშნული ხელნაწერების გარდა, მუხეუმში დაცულია გიორგი ერისთავის ცალკეული ნაწარმოებების ავტოგრაფებიც და მისი ვაჟის, დავით ერისთავის, მიერ გადაწერილი თხზულებებიც.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გიორგი ერისთავი უმეტესად ცნობილია, როგორც ქართული დრამატურგიის ფუძემდებელი. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ჟურნალ “ცისკრის” დამაარსებელსა და შესანიშნავი კომედიების ავტორს მრავალი ლექსი და პოემა აქვს შექმნილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის კვლევა.

გიორგი ერისთავი, მაზურკა

აგერ ცაში მზე ბრწყინვალეებს,
და განჰფანტა ღამე ბნელი,
შუქი მის შენსა ფანჯრებს
ჰკოცნის ვითა საყვარელი!

აღზღევ ტურფავ კმარა ძილი,
კმარა ტკბილთ სიზმართ ზმანება,
ისმინე ფრინველთ ჟღივილი,
იხილე დღისა შეენება!

აღზღევ ატკბე შენი ყური,
ვარდს ტურფად დამღერს ბუღბუღი,
უცხოდ უსტვენს მოლადური,
შორის ტყით იბახს გუგული!

მზისა სხივსა ოქროს ფერად,
დაუფერამს შენი არე.
მე მოესუღვარ შენად მზერად,
აღზდეგ ხილვით გამახარე!

აღზდეგ მნახე თავს დაგიკრავ,
მოგიძღვნი ვარდისა კონებს,
შენსა ხელსა გუღს მივიკრავ,
გარდგიკოცნი ღამაზ თვალებს!

1842 წ. მაისის 5-ს.

გიორგი ერისთავის ლექსის „მაზურკას“, პუბლიკაციას რომელსაც ამ სტატიის ბოლოს ვურთავთ, არც ერთ გამოცემაში არ არის დაბეჭდილი. მართალია, მხატვრული თვალსაზრისით გიორგი ერისთავის თხზულებებს ჩამორჩება, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც მიზანშეწონილად მივიჩნევთ. ფაქტობრივად, ეს ამ ლექსის პირველი პუბლიკაციაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერები: სსლმ 18012-ხ, სსლმ 18013-ხ, სსლმ 18015-ხ, სსლმ 18016-ხ, სსლმ 18017-ხ, სსლმ 18028-ხ, სსლმ 18032-ხ.

ერისთავი, 1867 – გიორგი ერისთავი, თხზულებანი თავად გიორგი დავითის ძე ერისთავისა, აღექსანდრე ესტატეს-ძე ერისთავის გამოცემა, ტფილისი, 1867.

ერისთავი – თ. გიორგი დავითის ძე ერისთავის თხზულება, წინასიტყვაობის ავტორი აკ. წერეთელი და ი. მეუნარგია, თფილისი, 1884.

ერისთავი – გიორგი ერისთავი, თხზულებანი, შალვა რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფილისი, ფედერაცია, 1936.

ერისთავი – გიორგი ერისთავი, თხზულებანი. ტექსტი დაადგინა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ. თბილისი, 1966.